ქალაქ თბილისის №53-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლე – სოფო ხუროშვილი.

ლამაზი ბიჭი – ლევან სალუქვაძე

მერი ბებო და სალუქვაძეების  პირველი სიხარული – ლევანიკო

„ლევან ბაბუ“ – დიდი სიხარულით და სიყვარულით წარმოთქმული ეს სიტყვები, სოკრატ სალუქვაძეს სიამაყეს და სიმხნევეს მატებს. სოკრატის პირველი სიხარული და იმედი 17 წლის ლევანიკოა (შუაში ჩოხაახალუხში).

ჩემო ლევან ბაბუ – შენ ნიჭიერი და ფეხბედნიერი ბიჭი ხარ! შენი დაბადების შემდეგ სამსახურში აღმადგინეს, მუზეუმი დავაარსე, დისერტაცია დავიცავი, აფთიაქ–მუზეუმზე მონოგრაფია დავსტამბე. შენ კარგად ცეკვავ, კომპიუტერიც მაგრად იცი, მაგრამ სხვა საგნებშიც ასეთი მაღალი ცოდნა მინდა გქონდეს. ბედნიერ მომავალს გისურვებ. გახსოვდეს დიდი შოთას აფორიზმი: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“... ასეთი სურვილებით გასცქერის შვილიშვილის მომავალს, წამალთმცოდნე სოკრატ ბაბუ.

ფოტოსურათზე: ლევანი მოცეკვავე მოსწავლეებთან ერთად.

**სტეფანე ამბაკოს ძე სალუქვაძე 1936 წელს 30 იანვარს ისე გარდაიცვალა 31 წლის ასაკში, რომ მისი სურათი არც გაზეთში და არც ჟურნალში არ დაბეჭდილა. მარადიულ სასუფეველში ნუგეშად ის წაყვა, რომ მისი საქმის გამგრძელებლად ამ წუთისოფელში ერთადერთი ვაჟიშვილი – სოკრატ სალუქვაძე დაგვიტოვა, დაბადებული 1935 წლის 10 მაისს.**

გაუსაძლისი იქნებოდა ამ დუხჭირ წუთისოფელში გაძლება ანსამბლ „რუსთავის“ ბიჭების გარეშე. მარცხნივ ამირან გოლიაძე, სოკრატ სალუქვაძე და რამინ მიქაბერიძე. მაგიდასთან ზის ბაჩანა კალანდაძე და სხვები.



ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდს ყოველმ-
სურველს როდი უღებენ, მაგრამ დიდი ივანე ჯავახიშვილის ვაჟიშვილმა აკადემიკოს
ალექსანდრე ჯავახიშვილმა უარი ვერ უთხრა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს ოქროს ყელსა-
ბამის სანელ-საცხებლითურთ დათვალიერებაში.

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი დგას
გურიის სოფელ ლიხაურში, ძეგლის წინ დგან-
ან წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე და ძეგლის
ავტორი, მოქანდაკე ანზორ გომარვთელი. სურათი
გადაღებულია 1985 წელს ერისკაცობის ანუ ექვთი-
მობის დღესასწაულზე.

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი მელქისედეგ მუჯირი, ფარმაცევტული მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის მერი მუჯირის

მამა და სოკრატ სალუქვაძის სიმამრი. ამონარიდი გაზეთ „სახალხო განათლებიდან“: ...სახალხო განათლების წარჩინებული, სულიერი მამა, დახვეწილი ინტელიგენტი, მასწავლებელთა მასწავლებელი...

# თანადგომა ანუ ბოლო აკორდი ამ წიგნისა

ბატონ კარლო გოგოტიშვილის მიერ პოეტ ტანია ლებედინსკაიას ერთი ლექსის ქართული თარგმანის გამო მე, ამ წიგნის შემდგენელმა და რედაქტორმა არ დავიშურე მონდომება, რომ აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის ესეა მეცნიერ სორატ სალუქვაძეზე თავისთავად საინტერესო რომ ყოფილიყო, მაგრამ ფარმაცევტული დარგის პოზიციიდან მოვისურვე ზოგი რამ დამემატებინა და შემევსო მხოლოდ იმიტომ, რომ გაგვეხსნა სოკრატ სალუქვაძის მისწრაფებები და ხასიათი, მისი მეგობრული დამოკიდებულება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. ეს იმდენად მრავალნაირია, რომ მოგვაგონებს სარკის ნატეხების არანეკლს მზის სხივებში. სოკრატს პოეზია უყვარს არანაკლებად საკუთარ პროფესიაზე და ახლა ის მინდა გავიხსენო, რომ სკოლის მერხიდანვე გვასწავლიდნენ რუსი პოეტების დამოკიდებულებას და სიყვარულს საქართველოსადმი. შეიძლება დავასახელოთ: სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი. მაქსიმ გორკი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა და მრავალი სხვა, რომელთა რიცხვს ამჟამად მიემატა ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში მყოფი ტანია ლებედინსკაია. რომლის ლექსი გამოქვეყნებულია საქართველოზე. ეს ლექსი, დედანში და ქართულ თარგმანშიც საინტერესოა, ამ წერილის გაცნობის შემდეგ მკითხველი ადვილად, დაგვემოწმება, მაგრამ მე ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, ჩვენი სოკრატის თანადგომა მეგობრისადმი და ამიტომ საზოგადოებას არ უნდა დაეკარგოს მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ-ერთი წარმომადგენელის იურისტ კარლო გოგოტიშვილის მიერ მაღალდლნეზე შესრულებული პოეტური თარგმნის ნიმუში. აქ, რომ სულით ამაღლებული ხელოვნებასთან გვაქვს საქმე, ეს ცხადზე ცხადია. ისიც ვლინდება, რომ პოლიტიკური ურთიერთობებისაგან პოეტური ხიბლი და ხედვა ისეა დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა. ჩემი აზრით, აქ გატარებული ძირითადი აზრი არა ძალის პოზიციაა, არამედ დედააზრი – **პოეზია გადაარჩენს საქართველოს**. ამჯერად ეს ვიკმაროთ და გავეცნოთ სოკრატის მეგობრის წერილს და რითაც ადვილად დავრწმუნდებით ავტორისეული მისწრაფება ამაღლებულ ხელოვნებაშია. მკითხველისათვის ადვილი ჩასაწვდომი გახდება. ამ წიგნის შემდგენლისა და რედაქტორის **გენრი დეკანოსიძის** მოსაზრება.

„ჩემი კომენტარი, (ამბობს სოკრატ სალუქვაძე) მეგობრის ერთი პოეტური თარგმნის გამო“.

იურისტ კარლო გოგოტიშვილთან 40 წელზე მეტი ხანიაა ვმეგობრობ. ერთად, ხშირად ვნადირობდით. მრავალჯერ ერთად გვიქეიფია და თურმე ჩემი გულითადი მეგობრის შესაძლებლობები დღემდე ვერ ამომიცვნია. ჯერ გავეცნოთ მის მეგობრულ წერილს და კომენტარები გავაკეთოთ თქვენთან ერთად. მის ერთ პოეტურ თარგმანზე აი, ეს წერილიც.

ჩემო სოსო!

(წერილს კარლო გოგოტიშვილი უგზავნის სოკრატ სალუქვაძეს)

24 წელიწადია ამერიკაში ცხოვრობს ტანია ლებედინსკაია. მას რუსული ემიგრაციის ვარსკვლავს ეძახიან. პოეტი, კომპოზიტორი, მომღერალი, განუმეორებელი იმპროვიზატორი დღემდე ახსოვს და უყვარს ქართველი ხალხი და საქართველო. ამასწინათ ერთ-ერთმა გაზეთმა მისი ლექსი გამოაქვეყნა „მე მესიზმრება საქართველო”. ამ ლექსს, რომ ვკითხულობდი სუნთქვა კინაღამ შემეკრა, მგონი დამავიწყდა.

შენ კარგად იცი პოეტობაზე პრეტენზია მე არასოდეს მქონია და ვერც გავბედავ ქართული ლექსის კორიფეებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ იმდენად მოვიხიბლე ამ ლექსით, რომ რაღაცით მინდოდა ჩემი აღფრთოვანება გამომეხატა ამ შედევრისადმი. საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულთან ერთად ამ ლექსში ქართველი თამადებიც დავინახე,

ალბათ გენიშნა; მე, შენ დაგინახე, იაშა მახარაძე დავინახე, ტარიელ კვაშალი დავინახე, შოთა ხოდაშნელი დავინახე, ომარი და გერისო კელაპტრიშვილები დავინახე.

გავბედე და ეს ლექსი ვთარგმნე. შენზე უკეთეს არბიტრსა და კრიტიკოსს მე ალბათ ვერ ვნახავ. თუ ძმა ხარ შემიფასე ეს „ჩემი ნაშრომი". არ მომერიდო და მითხარი თუ ღირს იგი გამოსაჩენად.

**სიზმარში ვხედავ საქართველოს**

მე მესიზმრება გოროზი მთები ბრინჯაოს ფერი,
მწვანე მინდვრები ათასფერი სურნელებითა,
მანდარინების ელვარება მზესავით მწველი,
თითქოს ამ ნათელს შენ აფრქვევდე შენი ხელითა.

მე მესიზმრება შენ ზეციურ ცისფერ კაბაში.
თითქოს ვარსკვლავის ძაფეფისგან უქარგავს უფალს,
მე მესიზმრები საქორწილო მაგიდის თავში
როცა პირველი ჭიქით ლოცავ ნეფე-დედოფალს.

მე მესიზმრება საქართველოს ლაღი სიმღერა,
აფეთქებული ველები და მწვანე კორტები.
მე გაღიმებაც მესიზმრება მისი და დარდიც,
ქართველი მიწის სიყვარულში შენ მაგონდები.

რუსული

**Мне снится Грузия во сне**

Мне снятся горы цвета бронзы,
И приятный аромат полей,
И мандариновое солнце,
Что лбется из руки твоей.

Мне снится ты в небесном платье,
Как будто сотканном из звезд,
Мне снишся ты на белой свадьбе,
Где поднимаешь первый тост.

Мне снится Грузия серебренная музыке,
Долин твоич зеленные холсты,
Мне снится Грузия веселая и грустная,
Мне снится Грузия мне снишся ты.

ვფიქრობ, ლექსიც კარგია და თარგმანი არა ნაკლები, ამიტომ საზოგადოებას არ უნდა დაუკარგოს ორი ქართველის მეგობრული დამოკიდებულების ერთი ნათელი შტრიხი და ემიგრანტი პოეტის ორიგინალური ლექსი და მისი ქართულად ნათარგმნი, მით უმეტეს, როცა პოეზია ესოდენ გვიყვარს.

ვასკვნი მე ფარმაცევტული მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, **გენრი დეკანოსიძე.**

ყველას გფარევდეთ მადლი ღვთისმშობლისა და მაცხოვრისა.

**ბანკის ჩეკვიზიტები** (უცხოურ ვალუტაში)
**Bank Details** (in foreign currency)

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

კლიენტის მონაცემები:
Customer information:

| | | | |
|---|---|---|---|
| გვარი სახელი<br>ორგანიზაციის დასახელება | საღუქვაძე სოკრატ | | |
| Last Name, First Name<br>Company name | SALUKVADZE SOKRAT | | |
| ანგარიშის ნომერი და ვალუტა:<br>Account number and currency: | 36110101110 5067 USD | ანგარიშის ტიპი:<br>Account type: | მიმდინარე<br>Current |
| ბანკის კოდი (SWIFT - კოდი):<br>Bank code (SWIFT - code) | MIBGGE22 | | |
| ბანკის დასახელება:<br>Bank name: | ProCredit Bank. Central Branch | | |
| ბანკის მისამართი :<br>Bank address : | ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 18<br>Tbilisi, Tamar Mepe ave. 18 | | |

**ძირითადი კორესპონდენტი ბანკები:**
**List of Main Correspondents:**

| ბანკის დასახელება<br>Bank Name | კორესპონდენტი ანგარიშის ნომერი<br>Correspondent account number | ვალუტა<br>Currency | SWIFT - კოდი<br>SWIFT - CODE |
|---|---|---|---|
| Citibank NA<br>New York, USA | 36208137 | USD | CITIUS33<br>Fedwire ABA: 021000089<br>Chips Bank No.: 0008 |
| Deutsche Bank Trust Company Americas<br>New York, USA | 04414024 | USD | BKTRUS33:<br>Fedwire ABA: 021001033<br>Chips Bank No.: 0103 |
| Deutsche Bank AG<br>Frankfurt, Germany | 100-9477118-00 | EUR | DEUTDEFF<br>BLZ: 500 700 10 |
| Commerzbank AG<br>Frankfurt, Germany | 400887191500<br>.<br>400887191500<br>.<br>400887191500<br>.<br>400887191500<br>.<br>400887191500 | USD<br>.<br>EUR<br>.<br>CHF<br>.<br>GBP<br>.<br>JPY | COBADEFF<br>BLZ: 500 400 00 |
| Dresdner Bank AG<br>Frankfurt, Germany | 499 08 126 847 00<br>.<br>499 08 126 847 11 | USD<br>.<br>EUR | DRESDEFF<br>BLZ: 500 800 00 |
| Alfa-Bank<br>Moscow, Russia | 30111840700000000154<br>.<br>30231810300000000040 | USD<br>.<br>RUB | ALFARUMM<br>BIC: 044525593<br>C/A : 30101810200000000593<br>v OPERU GU CB RF po g. Moskve |
| KMB Bank<br>Moscow, Russia | 30112840100000000030<br>.<br>30112978700000000030 | USD<br>.<br>EUR | KMBBRUMM<br>BIC: 044525922<br>C/A: 30101810800000000922<br>v OPERU GU CB RF po g. Moskve |
| Procredit Bank<br>Sofia, Bulgaria | BG82PRCB92301102255217<br>.<br>BG90PRCB92301402255218 | USD<br>.<br>EUR | PRCBBGSF |

პროკრედიტ ბანკი - ცენტრალური ფილიალი
ProCredit Bank. Central Branch

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

## ბანკის რეკვიზიტები
Bank Details

| | |
|---|---|
| გვარი სახელი<br>ორგანიზაციის დასახელება | სალუქვაძე სოკრატ |
| Last name, First name<br>Name of organization | SALUKVADZE SOKRAT |
| ანგარიშის ნომერი<br>Account number | 360101011105064 GEL |
| ბანკის დასახელება<br>Bank name | პროკრედიტ ბანკი - ცენტრალური ფილიალი<br>ProCredit Bank. Central Branch |
| ბანკის კოდი<br>Bank code | 220101922 |

ძვირფასო თანამემამულენო! ჩემთვის ცნობილია, რომ სოკრატ სალუქვაძემ თავისი მონოგრაფიის ტირაჟიდან აიღო სამასი ცალი წიგნი და 300 ღირსეულ თანამემამულეზე უფასოდ ავტოგრაფით დაარიგა სამას არაგვისპირელ თავგანწირულ მებრძოლთა სულის საცხონებლად! ეს იმიტომ, რომ კრწანისის ველზე ამ გმირებმა იხსნეს მეფე ერეკლე II-ის სიცოცხლე ადა-მაჰმად-ხანს ტყვედ რომ ვერ ჩაეგდო მეფე ქართველთა წინამდებარე წიგნი ალბათ ტირაჟით სამასი ცალი ვერ იქნება და ამ დროს ჩვენს სოკრატს გული კარნახობს იგივე გაიმეოროს ამ ტირაჟის დარიგება სურს უფასოდ. ამ დროს ჩვენ ამ წიგნის ავტორები: აკადემიკოსი ბაადურ რაჩველიშვილი, პროფესორი დურმიშხან ცინცაძე და თანაავტორშემდგენელ- რედაქტორი ე. ი გენრი დეკანოსიძე უარს ვამბობთ ამ წიგნის ჰონორარის აღებაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი კოლეგა ამჟამად არსად არ მუშაობს და იგი 80 ლარი პენსიის შემყურეა. დღეს ყველანი ასე ვართ, მაგრამ მე მიმძიმს ასეთი განცხადების გაკეთება! თუ ეს წიგნი ჩვენმა სოკრატმა ავტოგრაფით უფასოდ გადმოგცათ, ბოლო გვერდზე გამოქვეყნებულია პროკრედიტ ბანკის რეკვიზიტები, ანუ მიმდინარე ანგარიში და იქნებ ამ მისამართზე გადაუგზავნოთ წიგნის საფასური ოცი ლარი. ეს იმიტომ, რომ გამოსაცემია კიდევ 12 წიგნი ამ ავტორის მიერ და იქნებ ამ თანხით კიდევ გამოვნახოთ ერთი ან ორი წიგნის გამოსაცემი თანხა. მე ნამდვილად არ ვიცოდი თუ ჩემს მეგობარს 12 მონოგრაფია ჰქონდა მზად გამოცემისათვის! ხაზგასმით ერთ ფაქტს აღვნიშნავ: სოკრატ სალუქვაძეს წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიიის მცირე ენციკლოპე-დია“ 500 გვერდიანი წიგნი ჰქონია გამოსაცემად და სხვა კიდევ ბევრი წიგნი, რომელთა სათაურები მითითებულია ბატონი დურმიშხანის სტატიაში. 20 ლარი სამი კილოგრამი იმერულის თანხა ყველი მაინცაა, თუ „პური ჩვენი არსობისა“ მოვიპოვეთ, ჩაითაც შევაფერადებთ ადუღებულ წყალს და ამ ზამთარში თავს გავიტანთ მალე გაზაფხული მოვა და მერე ღმერთია მოწყალე. დანარჩენი თქვენ იცით ძვირფასო თანამემამულენო.

**პატივისცემით**

P.S. დიოგენის სანთლით ვეძებთ სპონსორს, რომ ეს წიგნები გამოცემული იქნეს და ისინი ყველა ნამდვილად შევსებაა საქართველოს ისტორიოგრაფიისა, წამალთმცოდნეობის ისტორიის გრიფით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

გენრი დეკანოსიძე

# სარჩევი


მოკლე ანოტაცია ..... 9

წიგნის შემდგენლისა და რედაქტორის წინასიტყვაობა ..... 10

წამალთმცოდნის მეცნიერული მოსაზრებანი, ანუ ვინ არის სოკრატ სალუქვაძე? ..... 13

სიტყვა, წარმოთქმული თბილისის №1 აფთიაქი-მუზეუმის 125 წლის იუბილეზე 2004 წლის 21 დეკემბერს, ამავე აფთიაქ-მუზეუმის დარბაზში ..... 23

ამ წიგნის შემდგენელის, რედაქტორის მოსაზრებები ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორზე, აკადემიკოს სოკრატ სალუქვაძეზე ..... 26

ღია წერილი პროფესორ, ლევან შენგელიას ..... 28

სალაღობო ლექსპრომტი სოკრატ სალუქვაძეს ..... 43

სიტყვა ერთი ორიგინალური მოსაწვევი ბარათის გამო ..... 49

სოკრატ სალუქვაძე უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით
მედიცინა – მედეა – მედიცინა ..... 55

**ქ. თბილისის ორი უნივერსიტეტის ემბლემების მოხატვის მოკლე ისტორია ანუ ღია წერილი აკადემიკოს რამაზ ხეცურიანს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემის დაარსების გამო** ..... 69

ჩვენი კომენტარი ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო დედაუნივერსიტეტის ემბლემებზე ..... 84

მედიცინა და არქეოლოგია მოსაზრებანი ზოგიერთი არქეოლოგიური მასალის სამედიცინო ასპექტის შესახებ ..... 90

ბოლოთქმა, თუმცა წიგნი მოცულობით გაიზარდა ..... 113

ღიმილგამძლე სტრიქონები, ანუ პოეტს არ დარჩა ლექსი დასაკარგავი ..... 120

**ისტორიული ცნობები სალუქვაძეების შესახებ, ანუ ვისი გორისა ვარ** ..... 126

შოპენის ბაღში შაშვი გალობდა ..... 132

სოკრატ სალუქვაძე და მისი მეგობრები ..... 133

ლევან ლომჯარიას უკვდავება ..... 271

იუმორიც წამალია ანუ გურული და კმაყოფილება? ..... 281

ფარმაკოპეა საქართველოს კულტურის ისტორიაში ..... 337

კომენტარები პროფესორ ნოდარ ლომოურის რეცენზიაზე ..... 340

მსოფლიოს უძველესი აფთიაქის ნაშთები უფლისციხეშია ..... 343

ქართულ ალტერნატიულ სამედიცინო კულტურას ევროპა ცნობს და კარებს ფართოდაც უღებს ანუ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის სოკრატ სალუქვაძის მეცნიერულმა გამოკვლევებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ..... 345

კოლხი მედეას გამოსახულება შესაძლებელია მსოფლიო მედიცინის ემბლემა გახდეს
I სურათების თანმიმდევრობა და მათი ანოტაციები ..... 360

ტიმ სევერინის განმეორებითი ლაშქრობის მნიშვნელობა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მოსაზრებათა შესაბამისად ..... 364

თენგიზ მაისურაძე: ჩვენს კოლეგას, ბატონ სოკრატ სალუქვაძეს ამაგი დავუფასოთ, ვინაიდან მისი მეცნიერული მიგნებები ამჟამად უკვე საერთაშორისო დონეზეა აღიარებული ..... 365

მანანა მაისურაძე გერმანელი მეცნიერის და მოქალაქის ნადეჟდა პანტელის ქარვასლაში მოწყობილი გამოფენის დევიზით "მედეა დღეს" მნიშვნელობა ..... 371

სოკრატ სალუქვაძე – საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის ფუძემდებელია ..... 375
განსხვავებული აზრი თუ პრინციპული ანტაგონიზმი? ..... 392
გავეცნოთ ჩვენი კოლეგის სოკრატ სალუქვაძის დღიურების შინაარს, შევაფასოთ ობიექტურად იქ წამოჭრილი პრობლემები და შევისწავლოთ განაწყენების მიზეზები რომელიც უნდა განვიხილოთ ფარმაცევტული ასოციაციის მორიგ სხდომაზე. ..... 399
ს. სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის „წამალთმცოდნეობა შუა საუკუნეების საქართველოში X-XVI ს-ში" სადისერტაციო საბჭოს დასკვნა ..... 401
ღია წერილი საქართველოს ფარამცევტული ასოციაციის პრეზიდენტს ბატონ რომან მახარაძეს ..... 404
ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს
იცით, სინამდვილეში რა მომხდარა, ძვირფასო პრეზედენტო, ბატონო თამაზ! ..... 407
რეცენზია-გამოძახილი ..... 409
ადამიანური ღირსებები უპირველეს ყოვლისა ..... 412
ჩემი მოსაზრებები სოკრატ სალუქვაძის შესახებ ..... 413
ქებათა-ქება საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის კაშკაშა ვარსკვლავს, რომელსაც
გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი ჰქვია პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის და მისი
გენერალური კონსტრუქტორის ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილის სახელი და დიდება ძალიან ძნელია
ერთ სათავგადასავლო სტატიაში ჩაატიო ..... 414
ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის რექტორს, დოქტორ, პროფესორს ჯიტანჯან მენდისს
პრორექტორს სამეცნიერო ნაწილში, დოქტორ ასოკა იაისენას პრორექტორს საერთაშორისო
ურთიერთობების დარგში დოქტორ მასანაკა ვატანაბეს მ.დ.-ს ძვირფასო კოლეგებო! ..... 418
ჩვენი პლანეტის ალტერნატიული ანუ ტრადიციული მედიცინის ემბლემის დაარსების
აუცილებლობის დასაბუთება ღია წერილი ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის რექტორს დოქტორ
ჯიტანჯან მენდისს, პრორექტორებს, სამეცნიერო საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს ..... 420
კაცობრიობის ალტერნატიული-ტრადიციული მედიცინის ემბლემის დაარსების წინადადების
შესახებ ტექსტზე თანდართული სურათების მოკლე ანოტაციები ..... 424
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი 'ქართუს" გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს
ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, დროებით უმუშავრის, ..... 425
წამალთმცოდნის სოკრატ სალუქვაძის განცხადება ..... 425
ღია წერილი ქ. ლონდონის მსოფლიო მედიცინის ისტორიის მუზეუმის დირექტორს,
პროფესორ ჰაროლდ კუკის ..... 432
პასუხი ჭირვეულ, არაკვალიფიციურ და ულოგიკო ოპონენტს ანუ ორიოდე სიტყვა შეშლილი „აკადემიკოსის"
არაერთ უარგუმენტო, დაუსაბუთებელ ცილისწამებაზედა! ..... 434
ჩვენგან წავიდა ალტერნატიული-ტრადიციული მედიცინის უბადლო სახალხო
მკურნალი - ჯუმბერ ჯაფარიძე ..... 473
მეცნიერებაში უკუღმართი საქციელი მკაცრად უნდა ვამხილოთ, რომ აქ ვეღარ ბოგინობდნენ სახელსა და
დიდებას დახარბებული ვაი მეცნიერები ..... 478
დასკვნა ქალბატონ იამზე სახამბერიძის დისერტაციაზე და მის 'მეცნიერულ"
ხელმძღვანელ 'აკადემიკოსებზე" ..... 509
თანადგომა ანუ ბოლო აკორდი ამ წიგნისა ..... 520

# შენიშვნები

წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის ფუძემდებლის აკადემიკოს სოკრატ სალუქვაძის კრიტერიუმებია;

ამ წიგნის შემდგენელი, თანაავტორი და რედაქტორი სავსებით იზიარებს ავტორების: აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის და ისტორიკოს პროფესორის დურმიშხან ცინცაძის მოსაზრებებს, რომ სოკრატ სალუქვაძე საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის ფუძემდებელია, რომელმაც კვლევა-ძიებაში გამოიყენა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სამედიცინო ტექნიკის იარაღები და ისინი შეადარა თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის იარაღებს. შედარებითი ანალიზის შედეგად მიიღო შთამბეჭდავი შედეგები. ძველი სამედიცინო ტექნიკის იარაღების დანიშნულების თაობაზე. ასევე ავტორის მიერ გამოყენებულია საარქივო წერილობითი პირველწყაროები ავტოგრაფები და ჩატარებულია ამ ტექსტების ექსპერტიზა შუა საუკუნეების კარაბადინების ტექსტებთან ავტორობის თუ გადამწერლების ზუსტად დადგენის მიზნით. აქაც მეცნიერული კვლევის შედეგები დამაჯერებელია.

მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე ძირითადად სარგებლობდა ლიტერატურული წყაროებით: ლათინურ, გერმანულ, რუსულ და ქართულ ენებზე. ხოლო მის მიერ აღმოჩენილი თაღჩებიანი ორიგინალური ნაგებობების პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას ახდენდა იქ აღებული სინჯების ანალიზს: გეოლოგიურ-სპექტროსკოპიული, ქიმიურ-ანალიზური მეთოდებით და ქაღალდზე ქრომატოგრაფიული ანალიზის მეთოდებით, თავისი მოსაზრებების მეცნიერულად დასაბუთების მიზნით ზოგჯერ კი მისი (ავტორის) მოსაზრებები ინტუიციურ ვარაუდებზეც გახლავთ დაფუძნებული და შედეგები, რომ დამაჯერებელია ამაში ადვილად დარწმუნდება სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლით დაინტერესებული მკითხველი. რისთვისაც ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ ამ წიგნის გამოცემა და მკითხველისათვის მიწოდება.

ამ წიგნის რექტოყდაზე გამოსახულია ელგუჯა ბერძენიშვილის მიერ დახატული გრაფიკული შედევრი „მედეა“, რომელიც მწერალ ლევან სანიკიძის დოკუმენტური პროზის „ამბავი კოლხი ასულისას“ მიხედვით დახატა. ავტორის თხოვნით ლათინურენოვანი წარწერა ამ სურათზე გრაფიკოსმა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ მოხატა. მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს სურს დაარსდეს კაცობრიობის ტრადიციული მედიცინის ემბლემა ამ ესკიზის შესაბამისად, ხოლო ამ წიგნის ვერსოგვერდზე გამოსახულია გრაფიკოსი მხატვრის ემირ ბურჯანაძის ესკიზი-ემბლემა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის გამოკვლევების შედეგად, იდეა აღებულია არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის კოლექციიდან, რომელიც აღმოჩნდა გურიაში 1946 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სოფლებში: ბაილეთში, გურიანთაში და ვაშნარში. გრანიტის ამ ფილას მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ სამედიცინო ემბლემის ფუნქცია მიანიჭა ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნეში, რომელიც სამედიცინო დაწესებულების ან სამედიცინო განათლების მქონე ფეოდალის შენობის კედელში იყო ჩაშენებული.

გენრი დეკანოსიძე

მხატვარი: გიორგი ავსაჯანიშვილი
კორექტორი: მაია სალუქვაძე
ოპერატორი: მაია სალუქვაძე
ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ავსაჯანიშვილი
კომპიუტერული მომსახურეობა: ალექსანდრე კუზანაშვილი

ტირაჟი 500 ცალი

ფასი 25 ლარი